

დემოკრატიის ინდექსი - საქართველო აცხადებს კონკურსს პროექტის კოორდინატორის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად, National Endowment For Democracy მიერ მხარდაჭერილი პროექტის - პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი - ფარგლებში.

ორგანიზაციის შესახებ:

ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი - საქართველო არის საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2019 წლის მაისში დაფუძნდა. დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ იხილეთ ჩვენ ვებ-გვერდზე www.democracyindex.ge

პროექტის შესახებ:

პროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტის და ინდივიდუალური დეპუტატების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალე საქმიანობის ხელშეწყობა, საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

პროექტის ვადა: 2022 წლის 1 ოქტომბრამდე.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- უმაღლესი განათლება სამართალში, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით, სპეციალიზებული კონსტიტუციურ სამართალში
- ძლიერი ანალიტიკური და წერითი უნარ-ჩვევები
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა
- გუნდური მუშაობის, გუნდის ხელმძღვანელობისა და პროექტის კოორდინირების უნარ-ჩვევები
- პროფესიით მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება
- დამკვირვებელ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის გამოკვეთილი მოტივაცია და სულ მცირე 2 წლის გამოცდილება
- პროექტის/პროექტების მართვის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება

პროექტის კოორდინატორის ფუნქციებია:

- პროექტის სტრატეგიული ამოცანების განხორციელება, პროექტის მიზნების მიღწევა და აქტივობების ეფექტიანი შესრულება, პროექტის გუნდის საერთო ხელმძღვანელობით
- პარლამენტის საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფა პრობლემების, გამოწვევებისა და მიღწევების იდენტიფიცირების მიზნით
- საკანონმდებლო ინიციატივების სამართლებრივი ანალიზის მომზადება, პრობლემების გამოკვეთითა და რეკომენდაციების შეთავაზებით
- მონიტორინგით გამოვლენილ პრობლემებზე საკანონმდებლო წინადადებების, საჯარო განცხადებების, სხვადასხვა საკომუნიკაციო მასალის მომზადება
- დეპუტატების პროფილების ეფექტიანი მართვა და ანალიზი
- საჯარო დისკუსიებისა და შეხვედრების მომზადება და მათში მონაწილეობა
- პარლამენტის მონიტორინგის ორი და პროექტის ოთხი ანგარიშის მომზადება

კონკურსი შედგება სამ ეტაპად:

1. პირველი ეტაპი - აპლიკაციის პროცესი

დაინტერესებულმა აპლიკანტმა უნდა გამოგზავნოს ქვემოთ მოცემული დოკუმენტები შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: democracyindexgeorgia@gmail.com

- CV
- სამოტივაციო წერილი
- ელექტრონული მისამართი/ბმული, სადაც გამოქვეყნებულია/ხელმისაწვდომია კანდიდატის ავტორობით გამოცემული აკადემიური ნაშრომი, ანგარიში, კვლევა

განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 3 ნოემბერი, 18:00 სთ.

2. მეორე ეტაპი - წერითი უნარების შემოწმება

საკონკურსო განცხადებისა და სამოტივაციო წერილის საფუძველზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან წერით გამოცდას. წერით გამოცდაზე კონკურსანტივთა წარდგენილი იქნება 2 საკითხი დემოკრატიის, კონსტიტუციისა და საპარლამენტო თემატიკის ირგვლივ.

3. მესამე ეტაპი - გასაუბრება

წერითი უნარების შემოწმების შედეგად შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას. გასაუბრებაზე შემოწმდება ინგლისური ენის ცოდნაც.

სახელფასო განაკვეთი - 2000-დან 2500 ლარამდე, კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. შრომითი ურთიერთობის დასაწყისში გამოყენებული იქნება 3 თვიანი გამოსაცდელი ვადა.

სამუშაო საათები - 10:00 – 18:00 (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით). ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, გადაუდებელ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს დაუყოვნებლივი რეაგირება.

არასრულად წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. გასაუბრებაზე მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული კანდიდატები.